(დანართი 1)

განცხადება

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად ახალი არჩევნების გამოცხადების, კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყებისა და კანდიდატის შერჩევის შესახებ

1. გამოცხადდეს ახალი არჩევნები და დაიწყოს კანდიდატთა რეგისტრაცია სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად.
2. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი
3. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდეს 2017 წლის 22 მაისს.
4. რექტორის თანამდებობის დასაკავებლადკანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2017 წლის 26 ივნისს და გაგრძელდეს 2017 წლის 7 ივლისის ჩათვლით, ყოველდღე 10.00 საათიდან 18.00 საათამდე (გარდა შაბათ-კვირისა), მისამართზე: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა № 61, მესამე სართული, ოთახი 302.
5. კანდიდატების რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, აკადემიური საბჭოს მიერ დანიშნულ დღეებში, კანდიდატები აკადემიურ საბჭოს წარუდგენენ თავიანთ სამოქმედო გეგმას. აკადემიური საბჭო ეცნობა თითოეული კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას.
6. რექტორის ახალი არჩევნები დაინიშნოს 2017 წლის 21 ივლისს.
7. ახალი არჩევნების შედეგები ძალაში შედის აკადემიური საბჭოს მიერ შესაბამისი დადგენილების გამოქვეყნებისთანავე.
8. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს:

   ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;

   ბ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;

   გ) უნივერსიტეტის განვიტარების სამოქმედო გეგმა;

   დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

   ე) ავტობიოგრაფია (CV);

   ვ) 2 ფერადი ფოტოსურათი ზომით 3X4-ზე;

   ზ) ცნობა ნასამართლეობის შესახებ;

   თ) ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.